საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ
29 აპრილი, კვირა, 1990 წ.
№ 81 (10 250) ● ფასი 3 კაპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საჩუქარი ქართველ გულშემატკივრებს

27 აპრილს გამოვიდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოველკვირეული გაზეთი „ქართული ფეხბურთი". ყოველკვირეულის პირველ გვერდზე დაბეჭდილია საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის სურათები, მიმართვა მკითხველებისადმი, პალერმოს საერთაშორისო სპორტული ფილმების ფესტივალის გენერალური დირექტორის ვიტო მაჯიოს მისალმება, ბალათერ არაბულის ლექსი. მეორე გვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოს 1990 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულება, შემდეგ დაბეჭდილია 21 და 22 აპრილის მატჩების სტატისტიკური მონაცემები, რამდენიმე შეხვედრის საანგარიშო წერილები, მეოთხე გვერდის მეტი ნაწილი დათმობილი აქვს უცხოეთის ფეხბურთის ამბებს.

ახალი გამოცემა „ქართული ფეხბურთი" კარგი საჩუქარია ჩვენი გულშემატკივრებისთვის. უდავოა, იგი ხელს შეუწყობს საქართველოში ფეხბურთის შემდგომ პროპაგანდას და განვითარებას.


ქართული ფეხბურთი

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ბუშინ გაიმართა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის შეხვედრები:

„სამგურალი" (წყალტუბო) — „გორდა" (რუსთავი) 0:1
„დილა" (გორი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:1
„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მზიური" (გალი) 1:0
„ოდიში" (ზუგდიდი) — „იბერია" (თბილისი) 1:1
„შევარდენი" (თბილისი) — „ბათუმი" (ბათუმი) 0:3
„კოლხეთი" (ხობი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0
„ცხუმი" (სოხუმი) — „სანავარდო" (სამტრედია) 2:0
„ქუთაისი" (ქუთაისი) — „ოზურგეთი" (ოზურგეთი) 1:0

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იუწყება, რომ რესპუბლიკის ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ცხინვალის „ლიახვსა" და ხაშურის „ივერიას" შორის გაიმართება დღეს, 29 აპრილს თბილისის „შევარდენის" სტადიონზე.

დასაწყისი 18 საათზე.

## ეროვნული დროშით — საერთაშორისო ტურნირზე...

### ანუ რატომ ღირდა ქართველთა თამაშზე ბილეთი 7000 ლირა...

ვისაც წაუკითხავს გაზეთ „კომუნისტში" ე. ბერიშვილის ინტერვიუ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან, ვინც იცის, თუ რას ნიშნავს სიტყვა „თვითიზოლაცია" ან „იზოლაცია", რომლებსაც ხშირად მიმართავს ვ. კოლოსკოვი, იმას ვერავინ დაარწმუნებს, რომ ამ წერილის სათაური სწორედ იტალიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ქართველი ფეხბურთელების, კერძოდ, ყოფილი „ნორჩი დინამოელის" (მწვრთნელები ო. გეგეჭკორი და ბ. სიჭინავა, ამჟამად გუნდს „იბერია" ეწოდება) წარმატებით მონაწილეობას ეხება.

ჩვენ აღტაცებით შევხვდით ამ ცნობას და ვითვალისწინებთ რა მკითხველის ინტერესს ამ საკითხის მიმართ, გთავაზობთ ინტერვიუს დელეგაციის ხელმძღვანელთან, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ჯანმრთელობის, სპორტისა და ტურიზმის განყოფილების გამგე დავით პერტენავასთან და გუნდის მწვრთნელ ოთარ გეგეჭკორთან.

● **ბატონო დავით, როგორ მოახერხეთ გადაგელახათ ის წინააღმდეგობები, რასაც საკავშირო ფე-**

იხ. მე-3 გვ.

# ალექსანდრე და ირაკლი მეტრეველები მეორე ადგილზე







**ჩოგბურთელთა** ოჯახური დუეტების ტურნირი „რემინგტონის" კორპორაციამ პირველად 1985 წელს ჩაატარა, მაგრამ ეს იყო უფრო ლოკალური შეჯიბრება დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს სპორტსმენთა შორის. მაგრამ იდეა იმდენად მომხიბლავი გამოდგა, რომ სულ მალე ბევრი თანამოაზრე გაიჩინა. ტურნირის დევიზი არა მარტო ოჯახური კავშირების განმტკიცება და „მამათა და შვილთა" მუდმივი პრობლემის გადაწყვეტა გახლავთ, არამედ სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრული კავშირების რეგულირებაც, რასაც, სხვათა შორის, ტურნირის ორგანიზატორები მთავარ მნიშვნელობას ანიჭებენ.

აი ამ იდეის პოპულარობის ერთი ფაქტი წლევანდელი ტურნირის მაგალითზე: ფლორიდას 15 ქვეყნის წარმომადგენელი ეწვია, ეროვნულ ტურნირებში კი 17 ათასზე მეტი წყვილი იბრძოდა, რომელთა შორის საუკეთესოებმა ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

ახლა კი თავად შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპზე, მაგრამ ჯერ პროფესიული ჩოგბურთის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული არბიტრის ინგლისელი ჯერემი შელსის აზრს გაგაცნობთ ფინალურ ორთაბრძოლაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მეტრეველების (საქართველო) და პარსლოუების (ავსტრალია) ოჯახური წყვილები: „მეტრეველების თამაშში არ იგრძნობოდა ჰარმონია, მაგრამ ეს, დარწმუნებული ვარ, პრაქტიკის უქონლობის ბრალია. ავსტრალიელები უკვე რამდენიმე წელია რაც ერთად თამაშობენ და უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის, მეტრეველებმა კი, როგორც გავიგე, ამ საქმეს ხელი სერიოზულად ახლახან მოჰკიდეს".

არბიტრის სიტყვებში იყო სიმართლის დიდი ნაწილი, ყოველ შემთხვევაში პირველი სეტის წაგება ანგარიშით 2:6 მეტრეველების შეუთანხმებელი მოქმედების შედეგი გახლდათ. შემდგომში ქართულმა დუეტმა მკვეთრად გამოაკეთა მდგომარეობა და მეორე სეტი ასეთივე ანგარიშით მოიგო — 6:2. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ავსტრალიელთა. უპირატესობით აღინიშნა (6:2), რომლებმაც მოიპოვეს კიდეც საბოლოო გამარჯვება. მეტრეველების დუეტი მეორე ადგილზე გავიდა.

„დედა-ქალიშვილის" თანრიგში გამარჯვება ამერიკელებმა მაკკატჩონებმა მოიპოვეს. მათ საკმაოდ ადვილად დაამარცხეს ბრიტანელთა (პიტჩების) დუეტი.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, აქ გამარჯვება და კაიემის თასი ამერიკულმა წყვილმა მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში კანადელები დაამარცხა.



იტალიის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული თბილისის „იბერიის" („ნორჩი დინამოელის") ჭაბუკთა გუნდი პრიზებითურთ. მარცხნივ: მწვრთნელი ბ. სიჭინავა, მარჯვნივ ო. გეგეჭკორი.

# სპარტაკიადის ნაცვლად...

**ვწუხდით**, რომ ე. წ. „ხალხთა სპარტაკიადები" დღეს უკვე თავისებურ „არქიტექტურულ ზედმეტობას" წარმოადგენს. ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ქვეყნის უძლიერესი სამთომოთხილამურენი, რომლებიც შორეულ კიროვსკში (მურმანსკის ოლქი) შეიკრიბნენ სლავსკოეს სტარტებიდან „დარჩენილი" სასპარტაკიადო შეჯიბრების ჩასატარებლად. სწრაფდაშვებასა და სუპერ-გიგანტში საასპარეზოდ შეიკრიბა პრაქტიკულად ყველა უძლიერესი მოთხილამურე (108 სპორტსმენი). მათ შორის იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები, ოსტატობის კანდიდატები ლევან აბრამიშვილი, მალხაზ უდესიანი, მამუკა დვალიშვილი (სამივე — „შევარდენი"), ზურაბ ბასარია (ასკ) და დინამოელი გიორგი გავა (მწვრთნელები გერა აბრამიშვილი, ლეონიდ ბანდური და შალვა კოზანაშვილი). მოთხილამურეთა უმრავლესობა ტერსკოლიდან ჩამოვიდა, სადაც აპრილის შუა რიცხვებში იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირში „იალბუზის თასზე". სხვათა შორის, იქ თბილისელი ლევან აბრამიშვილი მეცხრე იყო სლალომის ტრასაზე 66 მონაწილეს შორის.

— კიროვსკში ჩამოსულებს გამოგვიცხადეს, რომ სპარტაკიადის ნაცვლად ჩატარდება... საერთაშორისო შეჯიბრება „კიროვის თასი". — კომენტარს ვთხოვთ ჩვენი გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ შალვა კოზანაშვილს — თანაც სწრაფდაშვებისა და სუპერგიგანტის ნაცვლად გაიმართა სპეციალური და გიგანტური სლალომი, რომელთაც, ცხადია, სულ სხვა სათხილამურო ინვენტარი სჭირდება.

შეჯიბრებისათვის „საერთაშორისო სახე" რომ მიეცათ, სტარტზე დაუშვეს ექვსი უცხოელი მოთხილამურე — ოთხი შვედი და ორი ბულგარელი.

შვედმა სტუმრებმა საუკეთესოდ გაიარეს სლალომის ტრასა — პირველი სამი ადგილი მათ დაიკავეს. ქართველ მოთხილამურეთაგან საუკეთესონი იყვნენ ლ. აბრამიშვილი (1.50,52) და მ. დვალიშვილი (1.52,32), რომლებიც შესაბამისად მე-16 და მე-17 ადგილებზე გავიდნენ. დანარჩენი ჩვენი სამი მონაწილე და ორივე ბულგარელი სხვებთან ერთად გამოეთიშნენ ბრძოლას.

გიგანტური სლალომის ტრასა ძალზე მოყინული იყო და სპორტსმენებმა დაბალი შედეგები აჩვენეს. ჩვენი გუნდის წევრთაგან უკეთესი შედეგი მესტიელ მ. დვალიშვილს ჰქონდა — 37-ე.

ახლა კიროვსკში გაიმართება საკავშირო თასის ფინალი ფრისტაილში, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც გამოვლენ.

**ოთარ ნოზაძე,**
„ლელოს" სპეც. კორ.

კიროვსკი.

# „თბილისის რკალი"

**ხვალ** გაიმართება ტრადიციული მძლეოსნური ამანათრბენი „თბილისის რკალი", რომელშიც გამოვლენ ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივები. ისინი დაყოფილნი არიან 4 ჯგუფად, თითოეული გუნდის შემადგენლობაში 10 მორბენალი ქალი და 11 ვაჟია. ესენი არიან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, რაიონების მოსწავლეთა და წარმოება-დაწესებულებათა ნაკრები გუნდები.

ამანათრბენის სტარტი და ფინიში დანიშნულია ფილარმონიის წინ, მოედანზე. ესტაფეტა სტარტს აიღებს 11 საათზე.

# ფიზიკური აღზრდისთვის

გერონტი ქიქოძე

**მკითხველმა** შეიძლება იცოდეს, რას ნიშნავს სპარტანულ აღზრდის იდეალები. ეს იმას ნიშნავს, რომ დაბადებისთანავე, სანამ ჯერ კიდევ ამ ქვეყნად გაჩენას გამოიტირებდე, საგანგებოდ დანიშნულ მოხელეებს უნდა ეჩვენო, რომელნიც ხრამში გადაგაგდებენ თუ სრულიად ჯანმრთელი არა ხარ. თუ ჯანსაღი ხარ უფლება გაქვს შვიდ წლამდე დედმამის ოჯახში იცხოვრო. ამ ხნიდან კი სახელმწიფოს განკარგულებაში გადახვალ. უბრალო კარავში მოგათავსებენ შენი ჰასაკის ყმაწვილებთან ერთად, ტანთ ჩაგაცმევენ ტლანქ ტილოს ტანსაცმელს, ლოგინად მიგიჩენენ ლელის ჩალას, რომელიც შენვე უნდა მოსჭრა მდინარისა თუ ტბის პირას. ცივს წყალში გაბანავებენ ზაფხულის პაპანაქებაში და ზამთრის ყინვაში. საზრდოდ კი ძმრიან და სისხლიან შეჭამადს მოგცემენ. გასწავლიან ვარჯიშობას და სამხედრო წეს-რიგს: ამასთან ერთად ცოტაოდენ მუსიკასა და ლექსთაწყობას, რამდენათაც ეს ფიზიკურ ვარჯიშობისთვის და მწყობრ სიარულისთვის არის საჭირო. წელიწადში ერთხელ მთვარის ღმერთის ტაძარში წაგიყვანენ, სადაც უწყალოდ გცემენ რათა გამოგცადონ, შეგიძლიან თუ არა ხმის ამოუღებლივ ტანჯვის ატანა. მუდამ ქალიშვილებთან იქნები სწავლისა და ვარჯიშობის დროს: მღედრობითი სქესი შენ თვალში იდუმალობას დაჰკარგავს და შენ არ გეცოდინება არც სიყვარულის ოცნება, არც სქესობრივი ნდომის თრთოლვა.

სპარტანული აღზრდის უსაზღვრო თაყვანისმცემელი არა ვარ, მაგრამ მგონია რომ ამ სისტემაში ბევრი რამ არის ჯანსაღი და მიმზიდველი. დასაგმობია პიროვნების ჩაყლაპვა სახელმწიფოს მიერ, დასაგმობია აგრეთვე ადამიანის გარდაქმნა საომარ მანქანად. მაგრამ მისაღებია ზოგიერთი მაღალი თვისებები, რომელთაც ეს აღზრდა ანვითარებს: სიმარდე, სიმამაცე, თავდაჭერილობა, სულიერი სიფხიზლე, ნებიერობის უქონლობა.

თანამედროვე ადამიანი მეტის მეტად ნებიერი გახდა. შეეჩვია უზომო ფუფუნებასა და თავდაუჭერლობას. მისი კანი ბუმბულმა და აბრეშუმმა გაანაზა და მისი სხეული ველარ უძლებს ჰაერისა და მზის სხივების შეხებას. ეს ერთგვარი უკანდახევაა ძველ სპარტანელებთან და ათინელებთან შედარებით. მზე სიცოცხლის დასაბამია. ორგანიული არსება მხოლოდ იქ ისახება, სადაც მისი სხივების სითბო და სინათლე აღწევს. ადამიანის სხეულიც მზის სხივებთან ერთად გამანახლებელ და გამახალისებელ ძალას ისრუტავს. შეიძლება ისიც წარმოვიდგინოთ, რომ იდეური ცხოვრება ერთი განსაკუთრებული სახეა მსოფლიო ენერგიისა და დიდი კოსმიური ლამპრები აზრებისა და გრძნობების ელემენტებს გვიგზავნიან სხივების ტალღებთან ერთად. უნდა ვეცადოთ ჩვენი სხეული, რამდენადაც შესაძლებელია, ზედმეტი ჩვრებისაგან გავანთავისუფლოთ. მაშინ ჩვენ გავახალგაზრდებით არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც და მოქნილ კუნთებთან ერთად აზროვნების ნაყოფიერებასაც შევიძენთ.

ცნობილია, რომ კაცობრიობის ულრმესი იდეები პირველად იმ ქვეყნებში ჩაისახნენ, სადაც უხვი მზე ანათებდა: ეგვიპტესა, წინა აზიასა, ინდოეთსა, საბერძნეთსა, სიცილიაში. შემდეგ კულტურა ჩრდილოვან და ნისლიან ქვეყნებში გადავიდა, სადაც ადამიანური ცხოვრების შესანარჩუნებლად განსაკუთრებული კომფორტია საჭირო: გაწყობილი ბინა, თბილი ტანსაცმელი, უხვი საჭმელ-სასმელი. ამ კომფორტის მოთხოვნილებამ გამოიწვია ნივთიერი კულტურის უმაგალითო აყვავება, რითაც თანამედროვე ევროპა ამაყობს. მაგრამ პიროვნების შინაგანი ცხოვრება აგრერიგად როდი გაზრდილა. ერთგვარი საფრთხეც არსებობს უსულო საგანმა ბოლოს ცოცხალი არსება არ ჩაყლაპოს. ჩრდილოელი ადამიანი ხშირად სრულიად უმწეოდ სდგას იმ უზარმაზარ ქალაქებისა და მანქანების ჩრდილში, რომელიც მისმა ენერგიამ შექმნა. შესაძლებელია, რომ კაცობრიობის კულტურა ხელახლა დაუბრუნდეს თავის პირვანდელ კერას სამხრეთში. სამხრეთელი ადამიანის მოთხოვნილება უფრო მარტივი და განსაზღვრულია; ეს შეიძლება ერთის მხრით მისი ნაკლი იყოს, მაგრამ მეორე მხრით ღირსებაც არის: უსულო საგნები მას ნაკლებ ჰფლობენ. რით იკვებებოდნენ ძველი ბერძნები? ზეთითა და ხილით. რა სჭიროდა ძველ ქართველს: პური და ღვინო, ცოტა ყველი და ცოტა მწვანილი. მაგრამ ბერძნებს ჰომიროსი და ალექსანდრე მაკედონელი ჰყავდათ, ხოლო ქართველებს რუსთველი და დავით აღმაშენებელი.

თანამედროვე ევროპელები უბრუნდებიან კლასიკურ აღზრდის იდეალებს, რომელიც სულისა და სხეულის თანაბარს განვითარებაში მდგომარეობდა. დიდთავიანი და მკერდჩავარდნილი თაობა ადგილს უთმობს ახალ ადამიანებს რომელნიც სპორტით არიან გაკაჟებულნი. ესენი ჩვეულებრივ ზნეობრივადაც უფრო მაღლა სდგანან, რადგან უფრო სასტიკნი არიან თავის თავთან და ლმობიერნი სხვებისადმი. კლიმატიური პირობების გამო ყველგან არ შეიძლება მარტივი კლასიკური წამოსასხამისა და წაღების აღდგენა. ამის წინააღმდეგ ზნეჩვეულებაც ამხედრდებოდა. მაგრამ ბურთაობისა, ნაოსნობისა ან სირბილის დროს შესაძლებელიც არის და საჭიროც სხეულის ნახევრათ გატიტვლება მოძრაობათა თავისუფლების მისაღწევად. ამით მოიგებს არა მარტო ჰიგიენა, არამედ ესთეტიკაც: ერთი უმშვენიერესი სანახაობა მზის სხივებში გახვეული ვაჟკაცია.

შეიძლება მკითხველმა იცოდეს რა დიდი როლი ითამაშეს გიმნასტიურმა საზოგადოებებმა, ეგრეთ წოდებულმა შევარდნებმა, ზოგიერთ დაბეჩავებულ სლავიანურ ხალხის, განსაკუთრებით ჩეხების ცხოვრებაში. ნახევარი საუკუნის წინათ ჩეხები კიდევ უფრო დაქვეითებულნი იყვნენ ვიდრე დღეს ქართველები ვართ. დედაენა დავიწყებული ჰქონდა არა მარტო ინტელიგენციას, არამედ ხალხის დიდს ნაწილსაც. ისტორია მხოლოდ ორიოდე მეცნიერს ახსოვდა. თუ დღეს ჩეხები ეკონომიურსა და კულტურულს ასპარეზზე გერმანელებს ექიშპებიან, ეს სხვათა შორის შევარდნების მოქმედების შედეგიც არის. მათ შეუწყვეს ხელი სამშობლოს ზნეობრივსა და ფიზიკურ გამოფხიზლებას. მაგრამ სპორტი არსად არ არის ისე გავითარებული, როგორც გერმანიასა, ინგლისსა, ჩრდილო ამერიკასა და სკანდინავიის ქვეყნებში. თითქო ამ ქვეყნების მკვიდრნი სცდილობენ ბუნების სიძუნწე ხელოვნური საშუალებებით აინაზღაურონ. გერმანიაში არსებობს სატურნირო და სასპორტო საზოგადოებათა ეროვნული კავშირი. ამ კავშირში სამი წლის წინათ თითქმის თორმეტი ათასი საზოგადოება შედიოდა, რომელშიც მილიონნახევარი წევრი ირიცხებოდა. კავშირის დევიზია: ყოველი გერმანელი გიმნასტი უნდა გახდეს ან სპორტსმენი!

შეიძლება დღევანდელ ქართველებს გვეუცხოვოს ეს იდეალები. ჩვენ გვგონია, რომ სერთუკის გახდა, ტრიკოს ჩაცმა და ბურთის თამაში არ შეეფერება ისეთ ღრმა პოლიტიკოსებსა და სოციალურ რეფორმატორებს როგორიც ჩვენ ვართ. ჩვენი წინაპრები ასე არ ჰფიქრობდნენ. მათ უყვარდათ ფიზიკური ვარჯიშობა, რომელიც ერთგვარ გასართობსაც წარმოადგენდა და სამზადისსაც სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეობისთვის. გაიხსენეთ რას ითხოვს მეფე არჩილი კარგად გაზრდილ მამაკაცისგან:

**ჩოგნის მოხვრეტა, მობანდვა,**<br>
**ხწორის ბურთისა გამოჭრა,**<br>
**ბურთობის დროსა ასპარეზს**<br>
**პირმხიარულად გამოჭრა,**<br>
**ცხენის მოხტომა უხელოდ, იმის**<br>
**დროს ფიცხლად გადმოჭრა,**<br>
**მოპაიჯობა, ხახმობის ამორთმა,**<br>
**ხურდის ამოჭრა.**<br>
**ხმლის ცემა, ლახტის თამაში,**<br>
**ბევრგან ბრუნება შუბისა,**<br>
**ხაცერის წყობა, მათრახის**<br>
**ბილდირგა რა შვებისა,**<br>
**ისარი ხსვილი და გძელი, ხელი**<br>
**არ დადება უნისა,**<br>
**ვისცა არ აქვს, უძრახვენ,**<br>
**ხხვაგან ხხვას მიუგუნებსა.**

როგორც სჩანს ძველს საქართველოში საგანგებო ფიზიკურ აღზრდას მეფისწულებიც ღებულობდნენ. ამას სხვათა შორის „ვეფხის ტყაოსანიც" ამტკიცებს. როცა ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქაჯეთის ციხეს მიადგებიან, უკანასკნელი ჰფიცავს თავის ამხანაგებს, რომ ციხის აღება მის ხერხს მიანდონ:

**ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი**<br>
**სამუშაითოდ მზრდიდიან.**<br>
**მასწავლეს მათნი საქმენი,**<br>
**მახტუნებდნიან, მწვრთნიდიან;**<br>
**აჰრე გავიდი საბელსა, რომ**<br>
**თვალნი ვერ მომკიდიან;**<br>
**ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი,**<br>
**იგიცა ინატრიდიან.**<br>
**აწ ვინცა იცით უკეთა**<br>
**შეტყორცნა საგდებელისა,**<br>
**მას ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ**<br>
**წვერი საბლისა გრძელისა.**<br>
**მას ზედა გავლა ადვილად მიჩანს**<br>
**მართ ვითა ველისა,**<br>
**თქვენ ჰირად გიყო შიგნითა**<br>
**პოვნა კაცისა მრთელისა.**

არა მარტო კულტურულ აღორძინებისა და ძლიერების ხანაში, არამედ შემდეგაც დიდს ყურადღებას აქცევდნენ ქართველები ფიზიკურ ვარჯიშობას და თამაშობას. ამას უცხოელი მოგზაურებიც ადასტურებენ. მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში მრავლად მოდიოდნენ იტალიელები, მისიონერი ბერები. ერთმა მათგანმა, არქანჯელო ლამბერტიმ, დაგვიტოვა მეტის მეტად საინტერესო აღწერა მაშინდელ სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებისა და პოლიტიკურ ვითარებისა, ხოლო მეორემ, ქრისტეფორე კასტელმა, მთელი ალბომი საკუთარ ხელით დახატულ პორტრეტებისა და საჟანრო სურათებისა. ამ წყაროების შემწეობით ნათლად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ჩვენი ზოგიერთი ძველებური ვარჯიშობა.

არქანჯელო ლამბერტი ამბობს, რომ სამეგრელოში განსაკუთრებით ორი ეროვნული ვარჯიშობაა გავრცელებული: ბურთაობა და ნიშანში მშვილდისრის სროლა. პირველი სწარმოებს ამ რიგად: „ერთ ერთ ფართო მინდორში, სადაც ცხენი თავისუფლად გაჭენდება ათიოდე ცხენოსანნი შეიკრიბებიან... თვითეულ მათგანს ხელში უჭირავს ჩოგანი, რომლის ტარს ოთხი ან ხუთი მტკაველი, სიგრძე აქვს. ჩოგანი ამოქსოვილია საბელით, როგორც ჩვენში იციან; ხოლო ერთი მხრით ხის პირი აქვს და სრულიად გაშლილია, რათა ამ მხრით ბურთის მიწაზე აღება უფრო ადვილი იყოს. თამაშობა შემდეგში მდგომარეობს: ვარჯიშობის დამწყები ბურთს ჩოგანზე დაიდებს და ცხენს გააჭენებს. სხვებიც დაედევნებიან ერთი მეორეს მიყოლებით ჩოგნებით აღჭურვილნი. პირველი მოთამაშე ბურთს თავის წინ მაღლა ააგდებს, ისე რომ მიუსწროს როცა ძირს დავარდნილი ბურთი ხელმეორედ ახტება და ჩოგნით უკან გადაისროლოს. თვითეული მოთამაშე ამ ბურთისაკენ მიაჭენებს ცხენს და სცდილობს სხვებზე ადრე დაიჭიროს ჩოგნით, ცხენიდან ჩამოუხტომელად. ბურთის დამჭერი სათავეში მოექცევა დანარჩენ მოთამაშეებს და იმნაირადვე იმოქმედებს როგორც პირველად მოქმედობდა. მერმე სხვები სცდილობენ ბურთის დაჭერას და ამ რიგად ატარებენ დროს საღამომდე, ეს თამაშობა მეტად სასიამოვნო ვარჯიშობაა და დიდად გასართობი".

ეს აღწერა კარგად უდგება კასტელის მიერ დახატულ სურათს, რომელსაც ქვეშ „ქართველ ცხენოსანთა ბურთის თამაში" აწერია[1].

მეორე ვარჯიშობას არქანჯელო ლამბერტი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „შეჰკრავენ ორ ძლიერ გრძელ სარს ანძის მსგავსად და დაასობენ ფართო მოედანზე. ზევით წვერზე პატარა რგვალ ფიცარს მიამაგრებენ, დაახლოვებით ოთხი თითის სიგანისას. ასეთ ყაბახს სამეგრელოს დიდებული თავადები ჩვეულებრივ თავიანთ ეზოში აღმართავენ და როცა თამაშობა მოესურვებათ, ხსენებულ ფიცარზე ვერცხლის თასს დასდებენ. შემდეგ მოიწვევენ მშვილდ-ისრით შეიარაღებულ ცხენოსნებს. ესენი ერთი მეორეს მიყოლებით ყაბახისკენ გააჭენებენ ცხენებს. როცა ცხენოსანი ყაბახს მიუახლოვდება, მშვილდ-ისარს მომართავს და თასს დაუმიზნებს, ცხენის შეუჩერებლად. თასი იმისია ვინც ძირს ჩამოაგდებს".

**ამ აღწერის ილუსტრაციას წარმოადგენს მეორე სურათი კასტელისა, რომელსაც „ცხენოსანთა თამაში" ჰქვიან. სხვათა შორის თვით პატრ კასტელის თავის ნახატის ქვეშ შემდეგი წარწერა მოუთავსებია:** „ამ თამაშში საჭიროა დიდი სიმარდე და ისეთი დამიზნება, რომ მეტ-ნაკლები არ მოვიდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში მოთამაშე მყისვე გაჭენებულ ცხენიდან გადმოვარდება".

კასტელის სურათებზე სხვათა შორის კარგად სჩანს ერთი მეტის მეტად დამახასიათებელი მოვლენა: მოთამაშეთა ტანთსაცმლის კლასიკური სიმარტივე. ზოგიერთი მონაწილის სხეული თითქმის სანახევროდ გატიტვლებულია. შეიძლება იტალიელ პატრს ამ მხრივ ოდნავ გადაეჭარბებინოს, მაგრამ ყოველს შემთხვევაში უეჭველია, რომ ეს სურათები ფანტაზიის ნაყოფი არ არის და საერთოდ დაკვირვებითაა დახატული. უცილობელია ისიც, რომ ჩვენს წინაპრებს მეჩვიდმეტე საუკუნეშიაც კი შერჩენილი ჰქონიათ ჯანსაღი სხეულის გრძნობა. ამას სხვა წყაროებიც ადასტურებენ.

შემდეგ ის გრძნობა მიჩლუნგდა. ქართველობა თანდათან მოდუნდა ფიზიკურად. დამახასიათებელია, რომ ბოლოს მას მოევლინა მეფე, რომელსაც ზაქის ჭამა უყვარდა და ნადირობა სძაგდა, რომელიც ყოველს დღეს ცისკრის მოსმენით იწყებდა და სერობით ათავებდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რომანტიკოსი ალ. ჭავჭავაძე სევდით უცქეროდა დაცარიელებულ სავარჯიშო ასპარეზს:

**მიხედე ამა ვრცელსა ვაკეს**<br>
**ქვაყრილსა ბნელად,**<br>
**კვლავ ასპარეზსა სად ჰქონიათ**<br>
**ტაიჭთა სრბოლა,**<br>
**ჩოგნის ტაცება, ჭაბუკ-მხედართ**<br>
**გამოსაცდელად,**<br>
**შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა**<br>
**და ისართ სროლა.**

მეოცე საუკუნის ქართველობა კიდევ უფრო დაბლა სდგას ფიზიკურ აღზრდისა და გაწვრთნის მხრივ. საკუთარი გულ-გრილობისა და უცხო კულტურის გავლენის ქვეშ გაჰქრა ბევრი რამ, რასაც ამდენი მრავალფერადობა შეჰქონდა ყოველდღიურს ცხოვრებაში: ყეენობა, ბერიკაობა, ფარიკაობა, ბურთაობა, ჯირითი, კრივი და სხვ.. მათი ადგილი უაზრო ლოტომ, ნარდმა და ქაღალდმა დაიჭირა. რით ჩამოუვარდება ჩვენი კრივი ინგლისურს ბოქსს ან ჩვენი ჩოგნის შემოკვრა იქაურ ტენისს? თანამედროვე ქართველობაში თანდათან ისპობა ძველად ქებული ახოვანობა, სილაზათე და ჯანსაღობა. ეს ძლიერ დამაფიქრებელი მოვლენაა: საერთაშორისო შეჯიბრებაში ფიზიკური ძალა დიდს შანსს იძლევა საბოლოო გამარჯვებისთვის. ვისაც ეს ძალა არ შესწევს, მარცხდება სხვა უპირატესობის მიუხედავად. ისტორიკოსები ამბობენ, რომ პოლიტიკური დაცემის ხანაში რომაელი ჯარისკაცები ველარ სძლებდნენ ძველებური მძიმე მუზარადების ტარებას, მთავრობა იძულებული იყო უფრო მჩატე თავსახურავი შემოეღო. ამ ცვლილებას სიმპტომატიური მნიშვნელობა ჰქონდა: შემოსეულმა გერმანელმა ბარბაროსებმა ჩქარა დაამარცხეს რომაული ლეგიონები და იმპერია გაანადგურეს. გერმანელი ურდოები კულტურულად ბევრად დაბლა იდგნენ რომაელებზე, მაგრამ ფიზიკური ძალით სჭარბობდნენ მათ.

შეგვიძლიან თუ არა დღეს ჩვენ ძველებური წვრილთვალა და მუზარადი ვატაროთ? მართალია ასეთი ტანსაცმელი აღარ გვჭირია, მაგრამ კიდეც რომ გვჭიროდეს, მის სიმძიმეს ვერ გავუძლებდით. მეტის მეტად დაძაბუნებული ვართ ფიზიკურად. აუცილებლად უნდა აღვადგინოთ ძველებური ქართული ვარჯიშობა, მხოლოდ მისი ხასიათი დროების მოთხოვნილებას უნდა შეუფარდდეს. ძველს საქართველოში სპორტს მხოლოდ არისტოკრატია მისდევდა. დღეს უწინარეს ყოვლისა დემოკრატიასა და ინტელიგენციას ესაჭიროება ფიზიკური გამაგრება და განახლება: განსაკუთრებით მუშებსა, წვრილ ხელოსნებსა და მოსამსახურეებს, რომელნიც ხშირად მთელს დღეს უჰაერო და უსინათლო ქარხნებსა, სარდაფებსა და სახელოსნოებში ატარებენ. მათთვის სპორტი სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხია.

ევროპიელი ერები ერთმანეთში სესხულობენ სპორტისა და გიმნასტიკის ფორმებს. ჩვენ სესხი არ გვესაჭიროება. ჩვენ მოგვეპოვება ეროვნულ ვარჯიშობათა განძი, რომელიც დავიწყებულია და აღდგენას ელის. ის ახალს ფერადს შეიტანს ჩვენს ეროვნულს კულტურაში; ჩვენ სხეულს კი ძველებურ სილაზათესა და ჯანსაღობას დაუბრუნებს.

1920.

1. იხ. პატრი კასტელის ალბომი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ხელბურთი ● I ლიგა

## გამარჯვება მთავარ მეტოქესთან

**რამდენიმე** ასე თუ ისე მოულოდნელი შედეგი აღინიშნა I ლიგის ხელბურთელთა გუნდების თბილისის ტურის მატჩებში.

პირველ შეხვედრაში გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან ბროვარის „სტროიტელთან" გამარჯვების შემდეგ დონეცკის „შახტიორი" ხვდებოდა ლვოვის ასკ-ს. ამ მატჩში უკვე დონეცკელი ხელბურთელები აშკარად დაღლილები ჩანდნენ, ეტყობა, ლიდერთან ჩატარებულ შეხვედრას მათ ძალების მაქსიმუმი შეალიეს და გამარჯვება ამჯერად მათ მეტოქეებს დარჩათ — 27:24 (17:14).

თბილისის „ბურევესტნიკი", როგორც იცით, ბროვარის „სტროიტელს" ხვდებოდა.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და საერთოდაც თბილისელი ხელბურთელებისთვის ეს მატჩი საკმაოდ მძიმე გახლდათ, რამდენადაც გათამაშების ორი ლიდერი იდგა ერთმანეთის პირისპირ. ტურის დაწყებამდე, როგორც უკვე ვიუწყებოდით, „სტროიტელი" მხოლოდ ქულით უსწრებდა ჩვენს მოთამაშეებს. გამარჯვების შემთხვევაში კი უკვე „ბურევესტნიკი" გავიდოდა წინ სამი ქულით.

თამაშის დასაწყისში თბილისელმა ხელბურთელებმა მეტოქეს მაღალი ტემპი შესთავაზეს, მაგრამ ბროვარელები ცდილობდნენ თამაში თავიანთი „სცენარით" წარემართათ. თავდაპირველად ამას ახერხებდნენ კიდეც — პირველ ნახევრის მე-15 წუთამდე უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. დარჩენილი დროის მონაკვეთში თბილისელებმა, როგორც იქნა, ხელთ იგდეს ინიციატივა და პირველი ტაიმიც მოიგეს — 18:14.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე ქართველმა ხელბურთელებმა უფრო აქტიურად შეუტიეს მეტოქის ნახევარს, კარგად თამაშობდა როგავა, ასევე ჟუკი, აგრესიულად უტევდა „სტროიტელის" კარს სივოპლიასოვი. მოკლედ, გუნდის ყველა წევრმა დიდი ენერგია გაიღო და მათ ანგარიშით 33:28 დაამარცხეს თავიანთი ძირითადი მეტოქე.

**ზია გურდული.**

● ● ●

**გუშინ** თბილისის „ბურევესტნიკი" ხვდებოდა ლვოვის ასკ-ს. ანგარიშით 25:21 (15:8) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. „შახტიორი" (დონეცკი) — „სტროიტელი" (ბროვარი) 25:21.

**ამ გამარჯვებით თბილისის „ბურევესტნიკმა" ვადამდე მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური.**

## თბილისის ჩემპიონატი ფარიკაობაში

**მხოლოდ ტექნიკური შედეგები:**

**ხმალი.** 1. მერაბ ბაზაძე; 2. დავით ფეიქრიშვილი; 3. არჩილ ლორთქიფანიძე (სამივე — „შევარდენი").

**რაპირა. ქალები.** 1. ნინო ბეროძე („შევარდენი"); 2. ქეთინო გიგაური; 3. მაია მათითაიშვილი (ორივე — „მართვე").

**რაპირა. ვაჟები.** 1. სერგო დემეტრაშვილი; 2. ოლეგ ჩერნიშოვი; 3. ომარ ჯანიაშვილი (სამივე — „შევარდენი").

**დაშნა. ქალები.** 1. ნინო ხელაძე; 2. სოფიკო ღიღია (ორივე — „მართვე"); 3. თამარ ცქიტიშვილი („შევარდენი").

**დაშნა. ვაჟები.** 1. გიორგი კოკოჩაშვილი; 2. ჯემალ გამიაშვილი; 3. გოგა ჯილაური (სამივე — „შევარდენი").

**გუნდური:** 1. „შევარდენი"; 2. „მართვე"; 3. ასკ.

# ეროვნული დროშით— საერთაშორისო ტურნირზე...

(დასასრული)

**● [ოპე]რაცია აღმართავს ქართული ფეხბურთის მომავლის წინაშე?**

**დ. პერტენავა:** — კოლოსკოვის მუქარა ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ამჯერად ქართული გუნდის საზღვარგარეთ გამგზავრებაში უშუალოდ ჩაერია საქართველოს მთავრობა და კოლოსკოვს აღარ ძალუძდა იაფფასიანი ხრიკებისთვის მიემართა. თუმცა, სამგზავრო ბილეთებზე კარგა გვარიანად გაგვაწვალეს. ორჯერ გაგვიუქმეს დაჯავშნული ადგილები მოსკოვი — რომზე. ბოლოს, ლენინგრადიდან გავფრინდით,

**● ახლა თუ შეიძლება, თვით ტურნირის შესახებ.**

**დ. პერტენავა:** — ეს იყო ძნელი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, პორტუგალიის, თბილისისა და იტალიის ორი ქალაქის უმპროლისა და რეჯელოს გუნდები. ფეხბურთელები იმ ბურთით თამაშობდნენ, რომლითაც ზაფხულს ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონატზე, გვემსახურებოდა ის კეთილმოწყობილი ავტობუსები, რომლებიც იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე იქნება, მატჩებს გადასცემდნენ იტალიის ტელევიზიის I პროგრამით და კომენტატორებიც ისინი იყვნენ, ვინც მსოფლიო ჩემპიონატზე იქნებიან.

**● როგორ შეგხვდნენ იტალიელები?**

**დ. პერტენავა:** — იტალიის ფედერაციამ, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს უეფა-სთან, თბილად მიგვიღო. მათ იციან, რომ არ შეიძლება პოლიტიკური ამბები სპორტს დაუკავშირო და დაუპირისპირო იმ მეგობრულ ატმოსფეროს, რომელიც ტურნირზე სუფევდა.

**● ჩვენი ბიჭების თამაშმა როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე?**

**დ. პერტენავა** — ჩვენს გუნდს ტურნირზე „ტალანტების გუნდი" შეარქვეს, თუმცა ასაკით ქართველი ფეხბურთელები ყველაზე უმცროსები იყვნენ., აქედან ჩავიტანეთ ეროვნული დროშა, რომელიც ბიჭებმა მიუტანეს ტურნირის ორგანიზატორებს და სთხოვეს მისი აღმართვა. გაკვირვებულმა იტალიელებმა ხელით ანიშნეს საბჭოთა კავშირის დროშაზე, რომელიც უკვე დაეკიდათ: აი, თქვენი დროშაო. ბოლოს ბიჭებმა აუხსნეს ყველაფერი, ჩვენი გიდის ვანო ცაგარეიშვილის დახმარებით და სულ მალე ჰაერში აფრიალდა ქართული სამფეროვანი დროშა.

**ო. გეგეჭკორი.** — სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ იყო, რომ ქართველთა თამაშებზე ბილეთი 7000 ლირა ღირდა, ხოლო სხვათა თამაშებზე — 5000. ჩვენი ბიჭები ამ დღიდან მეტად პოპულარულნი გახდნენ და იტალიელი გოგონებიც მათ ავტოგრაფებს სთხოვდნენ.

**● ამან, ალბათ, ბიჭებიც გამარჯვებისთვის განაწყო.**

**დ. პერტენავა:** — საერთოდ, საკუთარი პრაქტიკიდან ვიცი, რომ ძალიან ადვილია სპორტსმენთა მობილიზება იმ არგუმენტით, რომ ისინი ქართველები არიან. არც იმის დავიწყება შეიძლებოდა, თუ რა წინააღმდეგობები გადავლახეთ, ვიდრე ტურნირზე მოვხვდებოდით.

და აი, ჩვენი ბიჭები ნახევარფინალში პორტუგალიის გუნდს შეხვდნენ. ეს ერთ-ერთი ძლიერი გუნდია, ბიჭები მოთელვაზე გავიდნენ მინდორზე და ამ დროს სტადიონზე გაისმა „სამშობლო" სოსო პავლიაშვილის შესრულებით (ჩანაწერი ჩვენი თხოვნით ჩართეს იტალიელებმა). სიმღერა ჩვენი ბიჭებისთვის დოპინგივით აღმოჩნდა, მათ ფიცი დადეს, რომ თამაშს მოიგებდნენ. მოიგეს კიდეც და დაჯაბნეს ძლიერი მეტოქე. ქართველმა ფეხბურთელებმა თითქოს იგრძნეს, რომ ისინი პირველნი იყვნენ, ვის მხარს უკანაც ეროვნული დროშა ფრიალებდა.

გავედით ფინალში, სადაც პოლონელებს შევხვდით. პოლონელები ასაკით უფროსები და ტანადაც უფრო მოსულები იყვნენ, მაგრამ ამას არ შეუშინებია ჩვენები. თამაშის წინ ვარიგებდით: „ვერცხლის მედლები ხელში გვიჭირავს, ახლა ოქროს მედლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ". შემდეგ ვილაცამ თქვა, წლევანდელ აპრილის გამარჯვებულები ჩავალთ საქართველოშიო. ამ სულისკვეთებით გავიდნენ მინდორზე. ძირითადი დრო უშედეგოდ დამთავრდა. დამატებითი პენალტების სერიით გავიმარჯვეთ ანგარიშით 4:3.

**ო. გეგეჭკორი** — ტურნირის ჩემპიონობის გარდა დაგვასახელეს საუკეთესო კოლექტივად. თურმე შეიძლება გუნდი ჩემპიონი გახდეს და არ იყოს საუკეთესო კოლექტივი, ჩვენ კი ეს პრიზიც გვერგო. საუკეთესო მეკარის ჯილდო გივი გავაზაშვილმა მოიპოვა, რომელმაც პენალტების სერიაში ორი ბურთი მოიგერია, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე გახდა.

**● ასეთ პოპულარულებს და ტალანტებად აღიარებულებს, ძნელი დასაჯერებელია, რაიმე კურიოზი არ შეგმთხვეოდათ.**

**ო. გეგეჭკორი:** — კი, იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ მას კურიოზს ვერ დავარქმევ. პორტუგალიელებთან გამარჯვების შემდეგ დამარცხებულებმა გინებით და „პერესტროიკას" ძახილით გაგვაცილეს გასახდელში. შემდეგ ბანკეტზე ჩვენებმა 9 აპრილის გმირთა ხსოვნის სადღეგრძელოს შესმა თხოვეს უცხოელებს. არ გავიდა ცოტა ხანი და პორტუგალიელები, რომელთაც დამარცხების წყენამაც გადაუარათ, ფეხზე წამოდგნენ და „დინამოს" ძახილში აიყოლიეს მთელი დარბაზი. ეს არ იყო მხოლოდ კურიოზი, ეს იყო ბედნიერი შემთხვევა, სიხარული, სიამაყე და სევდა ერთად აღებული.

**● საინტერესოა, რატომ არ ჩანდა ტურნირზე საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრები?**

**დ. პერტენავა:** — იტალიელებმა საკმაოდ მოურიდებლად განაცხადეს, რომ რუსული ფეხბურთის დონე დაეცა და არ სურდათ ტურნირი რომელიმე სუსტ გუნდს დაეჩრდილა, ქართული ფეხბურთის შესახებ კი იტალიაში ლეგენდები დადის, ამიტომ მოგვიპატიჟეთ, მაგრამ თუ ყველა გუნდს დაგვიმარცხებდით და პრიზებსაც ასე ერთბაშად მოხვეტავდით, არ გვეგონაო.

**● და ბოლოს, როგორ ფიქრობთ, ბატონო დავით, რა უნდა მოვიმოქმედოთ, რათა ფეხი ვაიძულოთ გადახედოს თავის წესებს. რა გზა გიჩვენათ ამ ტურნირმა?**

**დ. პერტენავა:** — ახლა ჩვენ გვჭირდება გზა, რომელიც უცხოეთთან დაგვაკავშირებს. ამ ტურნირმა გვიჩვენა, რომ საქართველოს აქვს პოტენციური ძალა იმისა, რომ აღზარდოს კარგი ფეხბურთელები, უნდა გავაუმჯობესოთ მუშაობა ახალგაზრდებთან. ამასთან, ტურნირმა დაგვანახა, რომ ყოველთვის უნდა მივიღოთ მონაწილეობა რაც შეიძლება მეტ ასეთ ღონისძიებაში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემოვიფარგლოთ და ჩავიკეტოთ მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატით. ამ ტურნირში მონაწილე გუნდებმა მიგვიწვიეს ტურნირებზე, რომელთაც თავიანთ ქვეყანაში გამართავენ, ხოლო იტალია კვლავ გველის დეკემბერში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული დამოუკიდებელი ფეხბურთი შეუდგა თავის ძნელსა და რთულ გზას. ამ ტურნირში „ნორჩი დინამოელის" გამარჯვებამ კი, ღმერთმა ქნას, დიდი მსოფლიო ჩემპიონატებისკენ გაუხსნას გზა ქართულ ფეხბურთს.

**გაგაცნობთ იტალიის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული თბილისის „იბერიის" გუნდის შემადგენლობას: გივი გავაზაშვილი, გურამ ჩიქვანაძე, გოჩა ხილაგაძე, ალექსანდრე ბიჩუნოვი, ლევან ქორჩარიანი, მუხრან მაისურაძე, გიორგი ანჩაბაძე, გიორგი ქინქლაძე, (გუნდის კაპიტანი), კახი კვანტალიანი, დავით გოდერძიშვილი, ლევან მჭედლიშვილი, ვახტანგ ჰყოაძე, პაატა ცერცვაძე, ბადრი კაკულია.**

ესაუბრა
**ინგა ჩახვაშვილი.**

**P.S.** ვიდრე ამ საუბარს ვიწერდით, ბატონ დავით პერტენავას ესტუმრა საკავშირო ფეხბურთის სამმართველოს ყოფილი უფროსი ანატოლი ურიომინი და საქვეყნოდ ცნობილი მეკარის ლევ იაშინის ქვრივი, რომელნიც თბილისში არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას ეწვივნენ და ლ. იაშინის საფლავისთვის ესკიზის შესრულება თხოვეს. ვუსმენდი ა. ურიომინს, რომელიც ქართული ფეხბურთის ტრადიციების წინაშე შეპატიჟებას გვისურვებდა და სადღაც გაქრა ის შიში, ვ. კოლოსკოვის ინტერვიუდან რომ მომყვებოდა.



# ვინ, სად, როდის?




„ლელოს" მკითხველებს აინტერესებთ, თუ რა პრინციპით დაწყვილდებიან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილე გუნდები პირველი ეტაპის ჯგუფური ტურნირების დამთავრების შემდეგ, მერვედფინალურ მატჩებში. ქვემოთ გთავაზობთ განრიგს, რომლის მიხედვითაც ფეხბურთის მოყვარულები გაარკვევენ თუ ვინ, სად და როდის შეხვდება ერთმანეთს. აქვე შეგახსენებთ, თუ როგორ განლაგდა ქვეჯგუფებში ფინალური ტურნირის მონაწილე 24 გუნდი.

„ა". იტალია, ავსტრია, აშშ, ჩსფრ (რომი, ფლორენცია).

„ბ". არგენტინა, კამერუნი, სსრ კავშირი, რუმინეთი (მილანი, ბარი, ნეაპოლი).

„გ". ბრაზილია, შვეცია, შოტლანდია, კოსტა-რიკა (ტურინი, გენუა).

„დ". გფრ, იუგოსლავია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, კოლუმბია (ბოლონია, მილანი).

„ე". ბელგია, სამხ. კორეა, ურუგვაი, ესპანეთი (ვერონა, უდინე).

„ვ". ინგლისი, ირლანდია, ჰოლანდია, ეგვიპტე (კალიარი, პალერმო).

ქვეჯგუფებში შეხვედრები გაიმართება 8-დან 21 ივნისის ჩათვლით, გათამაშების შემდგომ წრეში გადის ჯგუფურ ტურნირში გამარჯვებული ორ-ორი გუნდი (სულ — 12), გარდა ამისა, მათ დაემატება ოთხი იმ ექვსი ნაკრებიდან, რომლებიც მესამე ადგილებს დაიკავებენ ქვეჯგუფებში. ამ გუნდების გასარკვევად უპირატესობა ენიჭება მათ, ვისაც მეტი ქულა ექნება მოგროვილი. ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში უპირატესობით სარგებლობს ის გუნდი, ვისაც გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა ექნება, შემდეგ მათ, ვინც მეტ ბურთს გაიტანს და ბოლოს — წილისყრა.

**მერვედფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან:**

**23 ივნისი.**

**ნეაპოლი.** „ბ" ჯგუფის გამარჯვებული — ერთ-ერთი გუნდი, რომელიც მესამე ადგილს დაიკავებს „ა", „გ" ან „დ" ჯგუფებში.

**ბარი.** „ა" ჯგუფის მეორე გუნდი — „გ" ჯგუფის მეორე გუნდი.

**24 ივნისი.**

**ტურინი.** „გ" ჯგუფის გამარჯვებული — ერთ-ერთი გუნდი, რომელიც მესამე ადგილს დაიკავებს „ა", „ბ" ან „ვ" ჯგუფებში.

**მილანი.** „დ" ჯგუფის გამარჯვებული — ერთ-ერთი გუნდი, რომელიც მესამე ადგილს დაიკავებს „ბ", „ე" ან „ვ" ჯგუფებში.

**25 ივნისი.**

**გენუა.** „ვ" ჯგუფის მეორე გუნდი — „ბ" ჯგუფის მეორე გუნდი.

**რომი.** „ა" ჯგუფის გამარჯვებული — ერთ-ერთი გუნდი, რომელიც მესამე ადგილს დაიკავებს „გ", „დ" ან „ე" ჯგუფებში.

**26 ივნისი.**

**ვერონა.** „ე" ჯგუფის გამარჯვებული — „დ" ჯგუფის მეორე გუნდი.

**ბოლონია.** „ვ" ჯგუფის გამარჯვებული — „ე" ჯგუფის მეორე გუნდი.

**მეოთხედფინალში ითამაშებენ:**

**30 ივნისი.**

**ფლორენცია.** ტურინსა (24 ივნისი) და ვერონაში (26 ივნისი) გამარჯვებული გუნდები.

**1 ივლისი.**

**მილანი.** ბარიში (23 ივნისი) და მილანში (24 ივნისი) გამარჯვებული გუნდები.

**ნეაპოლი.** ნეაპოლსა (23 ივნისი) და ბოლონიაში (26 ივნისი) გამარჯვებული გუნდები.

**ნახევარფინალური მატჩები:**

**3 ივლისი.**

**ნეაპოლი.** ფლორენციასა (30 ივნისი) და რომში (30 ივნისი) გამარჯვებული გუნდები.

**ტურინი.** მილანსა (1 ივლისი) და ნეაპოლში (1 ივლისი) გამარჯვებული გუნდები.

7 ივლისს, ქალაქ ბარიში გაიმართება მატჩი მესამე ადგილისთვის.

ფინალური მატჩი ჩატარდება 8 ივლისს რომში, „ოლიმპიკოს" სტადიონზე.

**ისინი იტალიაში გამოვლენ**

# იუგოსლავია

**ფეხბურთელების** „ექსპორტის" მხრივ, იუგოსლავია, ალბათ, ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ევროპაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება თუნდაც ის ითქვას, რომ ბოლო 18 წლის მანძილზე ევროპის სხვადასხვა კლუბებში თამაშობდა 450-მდე იუგოსლაველი ფეხბურთელი. უცხოეთის კლუბებში ახლაც გამოდიან ნაკრების ძირითადი მოთამაშეები, როგორც, მაგალითად, საფეტ სუშიჩი, რომელიც საფრანგეთის „პარი-სენ-ჟერმენში" თამაშობს, ფარუკ ჰაჯიბეგიჩი — საფრანგეთის „სოშოში", სრეჩკო კატანეცი — იტალიის „სამპდორიაში" და სხვა. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ სიძნელეებს უქმნის ნაკრების უფროს მწვრთნელს ივიცა ოსიმს. ფეხბურთელები კონტრაქტებით არიან დაკავშირებული კლუბებთან და მწვრთნელიც გამუდმებით მოგზაურობაშია, რათა თვალი მიადევნოს მათ ფიზიკურ და ტექნიკურ მზადყოფნას. თუმცა, თავად ოსიმს მიაჩნია, რომ ეს ფეხბურთელები, როგორც წესი, გამოცდილი მებრძოლები არიან და ზედმიწევნით იციან თანამედროვე ფეხბურთი.

იუგოსლავიის ნაკრებმა შვიდჯერ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატებში — 1930, 1950, 1954, 1958, 1962, 1974 და 1982 წლებში. აქედან მათ მხოლოდ ორჯერ, 1930 და 1962 წლებში შეძლეს უძლიერესთა ოთხეულში მოხვედრა. საერთოდ, სპეციალისტთა აზრით, იუგოსლაველები, მიუხედავად თავიანთი ლამაზი ფეხბურთისა, რისთვისაც მათ „ევროპელ ბრაზილიელებს" უწოდებენ, ვერაფრით ვერ ახერხებენ თავიანთი პოტენციალის სრულად გამოვლენას დიდ შეჯიბრებებზე. ახლა, იტალიაში, მათ უნდა სცადონ ამ შეხედულების გაბათილება.

ყველაზე შედეგიანი იუგოსლაველებისთვის 60-იანი წლები იყო. მათ გაიმარჯვეს რომის 1960 წლის ოლიმპიადაზე, გავიდნენ 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში, ორჯერ — 1960 და 1968 წლებში მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის მედლები. 1962 წლიდან იუგოსლავიის ნაკრები მხოლოდ ორჯერ მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტთა რიგებში — 1974 და 1982 წლებში, მაგრამ მეოთხედფინალური მატჩები მათთვის გადაულახავი ზღუდე აღმოჩნდა.

წლევანდელი იუგოსლავიის ნაკრები შეიძლება ჩაითვალოს გამოცდილებისა და ახალგაზრდების კლასიკურ შეხამებად. ყველაზე ძლიერი ამჟამად გუნდის შუა ხაზია, ამიტომ გამორიცხული არაა, რომ მწვრთნელი ხშირად ექვს ნახევარმცველსა და ერთ პირწმინდა თავდამსხმელს დააყენებს თამაშზე.

აქვე გაგაცნობთ ნაკრების კანდიდატთა სიას: **მეკარეები** — ტომისლავ ივკოვიჩი (დაიბადა 1960 წლის 11 აგვისტოს, თამაშობს პორტუგალიის „სპორტინგში"), ფაჰრუდინ ომეროვიჩი (20.08.61, „პარტიზანი", ბელგრადი); **მცველები** — პრედრაგ სპასიჩი (13.05.65, „პარტიზანი"), ვუიადინ სტანოიკოვიჩი (10.09.63, „პარტიზანი"), სლობოდან მაროვიჩი (13.08.64, „ცრვენა ზვეზდა"), ფარუკ ჰაჯიბეგიჩი (7.10.56, „სოშო" საფრანგეთი), ანდრია პანადიჩი (9.03.59, „დინამო" ზაგრები), ბუდიმირ ვუიაჩიჩი (4.01.64, „პარტიზანი"), დავორ იოზიჩი (22.09.60, „ჩეზენა" იტალია), მირსად ბალიჩი (4.03.62, „სიონი" შვეიცარია), სრეჩკო კატანეცი (16.07.63, „სამპდორია" იტალია); **ნახევარმცველები** — ზორან ვულიჩი (4.10.61, „ჰაიდუკი" სპლიტი), დრაგოლუბ ბრნოვიჩი (2.11.63, „პარტიზანი"), მილან იანკოვიჩი (13.12.59, „ანდერლეხტი" ჰოლანდია), საფეტ სუშიჩი (13.04.55, „პარი-სენ-ჟერმენი" საფრანგეთი), ზვონიმირ ბობანი (8.10.69, „დინამო" ზაგრები), დრაგან სტოიკოვიჩი (3.03.65, „ცრვენა ზვეზდა"), ჰარის შკორო (2.09.62, „ტურინი" იტალია), გორან მილოევიჩი (6.12.64, „პარტიზანი"); **თავდამსხმელები** — დეიან სავიჩევიჩი (15.09.66, „ცრვენა ზვეზდა"), რობერტ პროსინეჩკი (12.01.69, „ცრვენა ზვეზდა"), რადმილო მიხაილოვიჩი (19.11.64, „ბაიერნი" მიუნხენი), ბორისლავ ცვეტკოვიჩი (30.09.62, „ასკოლი" იტალია), ზლატკო ვუიოვიჩი (28.08.58, „კანი" საფრანგეთი).

„საწყის სტადიაში ჩვენ აბსოლუტურად კონკრეტული ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი — როგორც მინიმუმი მეორე ადგილი ქვეჯგუფში, — ამბობს იუგოსლავიის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ივიცა ოსიმი. — ამჟამად გუნდი ინტენსიურად ემზადება ჩემპიონატისთვის. მაისში კვლავ შევიკრიბებით და უკვე კონკრეტულ მზადებას დავიწყებთ ჩემპიონატის პირველი მატჩებისთვის. ამ დროისთვის ნაკრებს უკვე შემოუერთდებიან უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელებიც. დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე ამხანაგური მატჩი, მათ შორის ესპანელებთან და ჰოლანდიელებთან".

მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების კალენდრის მიხედვით თავიანთ პირველ მატჩს იუგოსლაველები გამართავენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან, მაგრამ მწვრთნელის აზრით, ყველაზე რთული მათთვის იქნება მეორე შეხვედრა კოლუმბიის ნაკრებთან. მას მიაჩნია, რომ კოლუმბიელები შედარებით იოლად დაამარცხებენ პირველ მატჩში არაბეთის გაერთიანებული საემიროების გუნდს და უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იქნებიან, ვიდრე გფრ-სთან მატჩის შემდეგ დაღლილი იუგოსლაველები.

შესარჩევ ტურნირში იუგოსლაველთა მეტოქეები იყვნენ საფრანგეთის, კვიპროსის, ნორვეგიისა და შოტლანდიის გუნდები. გავიხსენოთ, თუ როგორი შედეგებით დამთავრდა მათთან გამართული შეხვედრები იუგოსლავიის ნაკრებმა: შოტლანდია — იუგოსლავია 1:1, იუგოსლავია — საფრანგეთი 3:2, იუგოსლავია — კვიპროსი 4:0, საფრანგეთი — იუგოსლავია 0:0, ნორვეგია — იუგოსლავია 1:2, იუგოსლავია — შოტლანდია 3:1, იუგოსლავია — ნორვეგია 1:0, კვიპროსი — იუგოსლავია 1:2. ამ მატჩებში, როგორც ვხედავთ, იუგოსლავიის ნაკრებმა 16 ბურთი გაიტანა, 6 კი საკუთარ კარში მიიღო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გუნდს საიმედო მეკარე, დაცვა და საკმაოდ აგრესიული თავდასხმის ხაზი ჰყავს.

ქვეჯგუფში იუგოსლაველთა მეტოქეები არიან გფრ-ის, კოლუმბიისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების გუნდები. ამ უკანასკნელებთან იუგოსლავიის ნაკრებს ჯერ არც ერთი შეხვედრა არ გაუმართია, დანარჩენ მეტოქეებთან კი მისი ბალანსი ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 24 | 8 | 5 | 13 | 31:41 |
| კოლუმბია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 |

**ვიტალი ქორქია.**

# უჩვეულო ქარავანი

**ეს** ავტომანქანები ჯერ კიდევ ლანჩხუთში მივლინების დროს მომხვდა თვალში. გრძელ უწყვეტ კოლონად მოემართებოდა და კვალად მისალმებებისა და დამშვიდობების „შლეიფს“ ტოვებდა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ეს ნაირფერად აჭრელებული და მორთული ავტომობილები სასტუმრო „ივერიასთან“ რომ დავინახე.

თურმე, ნუ იტყვით, ისინი „ლონდონ-პეკინის“ უჩვეულო გადარბენის მონაწილენი ყოფილან, რომელნიც 7 აპრილს გამოვიდნენ ლონდონიდან და 15 ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ, ჩინეთის დედაქალაქში უნდა მოხვდნენ.

გადარბენის მონაწილეთა შორის რეკორდების მოყვარულებიც არიან, მაგალითად, პორტუგალიელ ყოზე ლისბომ სტარტი თავისი ქვეყნის დასავლეთ სანაპიროზე აიღო ქალაქ საგრეში და ქარავანს პარიზში შეუერთდა. მისი გზა პეკინში არ დასრულდება, მას მაკაომდე აქვს გადაწყვეტილი მგზავრობა. ასე რომ, მის პირად რეკორდზე 20000 კმ მოდის.

24 აპრილს დილაადრიან წავიდნენ ჩვენი სტუმარი „ფირმები“. და დაგვიტოვეს სიხარული და სიხალისე, რაც აქ ჩამოიტანეს.

ამ გადარბენას ჰქონდა ჩვენთვის კიდევ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა. ისტორიულად ცნობილი საქართველოს გზა, რომელიც ევროპას და აზიას აკავშირებდა, ამ ეპიზოდში მაინც აღსდგა და აგრძელებს თავის ისტორიულ ფუნქციას.

**ინგა აფციაური.**












## ჩოგბურთის ამბები

**მონტე-კარლო.** ტრადიციული ტურნირი აქ, როგორც წესი, მიწის კორტებზე ეწყობა, ამიტომ მას, სავსებით სამართლიანად, საფრანგეთის ღია ჩემპიონატის წინ გენერალური რეპეტიციის მნიშვნელობას ანიჭებენ. პირველ წრეში მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა დაამარცხა იუგოსლაველი გორან პრპიჩა 7:5, 6:3.

**პარიზი.** საფრანგეთის ღია ჩემპიონატში (ჩატარდება 28 მაისს — 10 ივნისს) მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ოცეულიდან თორმეტმა ვაჟმა. ფავორიტებად, ცხადია, ითვლებიან მსოფლიოს მეორე და მესამე ჩოგნები სტეფან ედბერგი (შვეცია) და ბორის ბეკერი (გფრ).

**ტამპა (აშშ).** ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში 16 წლის იუგოსლაველმა მონიკა სელეშმა დაამარცხა ბულგარელი კატერინა მალეევა 6:1, 6:0. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სელეშმა ამ მოკლე დროში, ზედიზედ მესამე ტურნირი მოიგო. მსოფლიო კლასიფიკაციაში მას ახლა მესამე ადგილი უკავია.

**ნიცა.** შარშან ამ ქალაქის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, როგორც ცნობილია, ანდრეი ჩესნოკოვმა მოიგო. წლეულს კი უძლიერესი იყო 28 წლის ესპანელი ხუან აგილერე, რომელმაც ფინალში ფრანგი გი ფორჟე დაამარცხა — 2:6, 6:3, 6:4.

# მოლოდინი გაამართლა

### მკლავჭიდი

**დაზგები** თვითონ დაამზადეს, დარბაზიც მთლიანად შეავსეს, ისედაც აზარტულ ასპარეზობას თავგამოდებით გულშემატკივრობდნენ, ერთი სიტყვით, ყაზბეგში გამართულმა მკლავჭიდელთა შეჯიბრებამ იქაური ახალგაზრდების დიდი ინტერესი გამოიწვია. ამიტომაც იმსახურებენ ქების სიტყვებს ამ ასპარეზობის მოწყობის თაოსნები — სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ე. ღუდუშაური და ყაზბეგის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ქ. კობაიძე. ყაზბეგელ სპორტის მესვეურებს მხარში ამოუდგა, ე. ი. სპონსორობა იკისრა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავკაცმა გ. ჯამარჯაშვილმა. შეჯიბრებას, ცხადია, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ასე რომ, საერთო გარჯამ შედეგიც სათანადო გამოიღო — ყველამ ერთსულოვნად აღნიშნა, რომ ტურნირმა მოლოდინი გაამართლა.

მკლავჭიდელები ჯერ წონითი კატეგორიების მიხედვით შეებნენ ერთმანეთს, შემდეგ კი ყველაზე საინტერესო ეტაპის, აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამოსვლის ჯერი დადგა. აქ კი ნამდვილად ივაჟკაცა დათო ქაწაშვილმა, რომლის წონაც 75 კგ-ს არ აღემატებოდა — მან მასზე გაცილებით მძიმე წონისე ბუჩუკურს სძლია და გადამწყვეტ შერკინებაში, უკვე აშკარად დაღლილი, გელა შიოლაშვილთან (86 კგ) დამარცხდა. საბოლოოდ, საპრიზო ადგილებიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. გ. შიოლაშვილი, 2. დ. ქაწაშვილი, 3. ო. ბუჩუკური.

ასპარეზობა ამით არ დასრულებულა. შეჯიბრებას ესწრებოდა საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრების წევრი სოფრომ სანთელაძე, რომელთან შერკინება ყველა მსურველს შეეძლო. რამდენიმე ყაზბეგელმა ახალგაზრდამ სცადა კიდეც ბედი, მაგრამ სანთელაძის დამარცხება ვერავინ შესძლო, მათ შორის გელა შიოლაშვილმაც. შეჯიბრების სტუმარი იყო აგრეთვე მოსკოვის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული, წარმოშობით ყაზბეგელი თამაზ კურკუმული. მართალია, მას მარჯვენა ჰქონდა დაზიანებული, მაგრამ ასპარეზობაზე უარი მაინც არ უთქვამს. ის და სანთელაძე მარცხენა ხელით შეერკინენ ერთმანეთს და ყაზბეგელთა გასახარად, გამარჯვება კურკუმულს დარჩა.

ყაზბეგელ მკლავჭიდელთა შეჯიბრება პრიზებისა და საჩუქრების გადაცემით დასრულდა. ითქვა ისიც, რომ რაიონში შეიქმნა მკლავჭიდის სექცია. დასასრულ კი, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის თხოვნით, გაცნობებთ: ყველა რაიონში, სადაც მკლავჭიდელთა შეჯიბრების ჩატარებას მოისურვებენ, ჰქონდეთ იმედი იმისა, რომ ამ საქმეში მათ დაეხმარება მკლავჭიდის ფედერაცია (მსურველებმა მიაკითხონ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სპორტკლუბს).

## კალეიდოსკოპი

● **მსოფლიოს** ორგზის ჩემპიონი 110 მეტრზე თარჯრბენში ამერიკელი გრეგ ფოსტერი მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის მიერ დისკვალიფიცირებულია აკრძალული სტიმულატორების მიღებისათვის. იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს შეჯიბრებაში უახლოესი სამი თვის მანძილზე.

● **დასავლეთგერმანული** ფირმები სულ უფრო აქტიურად ერევიან გდრ-ის სპორტულ ცხოვრებაში. მათი მოღვაწეობის სფერო ჯერჯერობით სპონსორული საქმიანობით იფარგლება. ამას წინათ, გფრ-ის ცენტროიმპექსის ფირმამ ოფიციალურად გააფორმა ხელშეკრულება სპონსორობაზე ბერლინის კალათბურთელთა კლუბ ადვ-სთან.

● **ჩინეთის** სპორტსმენები პირველად იასპარეზებენ ბალახის ჰოკეისტ ქალთა მსოფლიო თასის გათამაშებაში. ტურნირში გამოვა ორ ჯგუფად დაყოფილი თორმეტი გუნდი. „ა“ ჯგუფში გაერთიანდნენ: ავსტრალია, გფრ, ინგლისი, არგენტინა, იაპონია და ჩინეთი „ბ“ ჯგუფში კი გამოვლენ: ჰოლანდიელები (თასის ახლანდელი მფლობელები), სამხრეთ კორეელები (სეულის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონები), აგრეთვე, კანადის, ახალი ზელანდიის, ესპანეთისა და აშშ-ს გუნდები.

● **ვენის** მეშვიდე ტრადიციულ მარათონში წლეულს ორჯერ უფრო ბევრი მონაწილე იყო, ვიდრე შარშან. ორგანიზატორები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მძლეოსანთა აქტიურ პოზიციას. წლევანდელ მარათონში ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 5 ათასამდე სპორტსმენი გამოდიოდა.

● **მელბურნში** გაიმართა რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა დიდი დემონსტრაცია. ეს იყო საპროტესტო აქცია მიმართული სამი ავსტრალიელი ჩოგბურთელის გადაწყვეტილებისადმი, რომლებიც აპირებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტურნირში მონაწილეობას. დემონსტრანტებმა მოითხოვეს უოლი მაზურის, დარენ კეჰილისა და ჯონ ფიტცჯერალდის დისკვალიფიკაცია.

● **როგორც** უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, ასიადა-90-ში მონაწილეობის სურვილი (ეს შეჯიბრება ჩინეთში ჩატარდება) კონტინენტის უკლებლივ ყველა ქვეყანამ გამოთქვა. ტაილანდის სპორტის მინისტრის მოადგილის ინდრაპანის განცხადებით, აზიის თამაშები პეკინში უსათუოდ წარმატებით ჩატარდება. ტაილანდელებს განზრახული აქვთ ოქროს მედლების მოპოვება კრივში, ბადმინტონში, ფარიკაობაში, სროლასა და კიდევ რამდენიმე სახეობაში.

● **ჟურნალისტების** შეკითხვაზე თუ რომელი გადაწყვეტილება მიაჩნია ყველაზე უსამართლოდ გდრ-ის სპორტის ისტორიაში, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მსოფლიოს უძლიერესმა მარათონელმა ვალდემარ ჩერპინსკიმ პირდაპირ თქვა: 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ბოიკოტი, რომელმაც ოქროს მესამე მედალი დამაკარგვინა.

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-16 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.631.396 ვარიანტი, 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (24) მოგება 2.940 მანეთია, ოთხისთვის (1.924) — 38, სამისთვის (33.675) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 39.282 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—34, 3—822.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 17.519.441 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (37) მოგება 10.000 მანეთი, ოთხისთვის (8.766) — 91, სამისთვის (243.173) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 532.807 ვარიანტი. 5—1 (თბილისი), 4—267, 3—7.150.

მე-16 და 7-16 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 12 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-16 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.261.877 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (136) მოგება 359 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (37,36) — 26 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (37.916) — 9 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 143.445 ვარიანტი. 13—5 (ბათუმი, სოხუმი, თბილისი — 3), 12—134, 11—1.306.

მე-16 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 12 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით.

## უეფა-ს სანქციები

**უეფა-ს** სადისციპლინო კომიტეტმა ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირებში ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია მისცა იტალიის კლუბის „ფიორენტინას“ სტადიონს. საქმე ისაა, რომ „ფიორენტინას“ და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ქალაქ ბრემენის „ვერდერის“ 17 აპრილის მატჩში „ფიორენტინას“ გულშემატკივრები სათამაშო მინდორზე ისროდნენ სხვადასხვა საგნებს, აფეთქებდნენ პეტარდებს.

„ფიორენტინა“ უეფას თასის პირველ ფინალურ მატჩში შინ უნდა შეხვედროდა იტალიისავე „იუვენტუსს“, ახლა კი ეს კლუბი იძულებულია ესოდენ მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართოს ფლორენციიდან სულ ცოტა 300 კილომეტრის დაცილებით.

## კონფლიქტები, კონფლიქტები...

**მსოფლიოს** საფეხბურთო ჩემპიონატი კარზეა მომდგარი და გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი ჰოლანდიის ნაკრები ჯერ კიდევ უმწვრთნელოდაა. მას შემდეგ, რაც მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს ტ. ლიბრეჰტსი, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ მიიჩნია, რომ ჰოლანდიელ ფეხბურთელებს უნდა უხელმძღვანელოს ლეო ბეენჰაკერმა, რომელიც ამჟამად ამსტერდამის „აიაქსს“ უდგას სათავეში. მაგრამ მოთამაშეთა უმეტესობა, მათ შორის რ. გულიტი, მ. ვან-ბასტენი და სხვანი კატეგორიულად მოითხოვენ იოჰან კრუიფის ესპანეთის „ბარსელონიდან“ შინ დაბრუნებას.



მაგრამ ჰოლანდიაში ახალი კონფლიქტი წამოიჭრა. ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ფრანკ რაიკაარდმა განაცხადა, რომ თუ ამ პოსტზე ი. კრუიფი მიიწვიეს, იგი დაუყოვნებლივ დატოვებს ნაკრებს და არ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატზე.

ყველას ახსოვს, რომ ი. კრუიფმა ოდესღაც ფ. რაიკაარდი გარიცხა „აიაქსის“ შემადგენლობიდან.

## ფრე პირველ მატჩში

**21 წლამდე** ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ მატჩში, რომელიც განვლილ ოთხშაბათს შედგა სტოკჰოლმში, ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და სსრ კავშირის გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1 (0:0). პირველი ბურთი 70-ე წუთზე გაიტანეს მასპინძლებმა (ანდერსონი), ორიოდე წუთის შემდეგ ი. შალიმოვმა 11-მეტრიანით გაათანაბრა ანგარიში.

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჯიჯინაძე.**

რუსთავის საფეხბურთო კლუბი „გორდა“ თანაუგრძნობს გუნდის უფროსს დავით შუბითიძეს დედის

**ვენერა იოველის ასულ გუნცაძე — შუბითიძის**

გარდაცვალების გამო.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-56, ხაზინადარი — 93-97-82, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-56, „მერანი“ — 93-97-80, „მარათონი“ — 93-97-97.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხაზარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08779